№ 46 მარტი 5, ხუთშაბათი 1887 მარტი 5, ხუთშაბათი № 46

# ივერია

გაზეთი ღირს

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ზუბალოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, ბ. ხიდდეკელის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, ცენტრალურსა და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1887 წელიწადი სამოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1887 წელიწადი

ნატალია კონსტანტინეს ასული ბაბალოვისა, იაგუნდა ქრისტესიას ასული ბაბალოვისა და ივანე სტეფანეს ძე ბაბალოვი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებასა პირველი მეუღლისას თვისისას, მეორე—შვილისას და მესამე—ძმისას ელიზბარ სტეფანეს-ძის ბაბალოვისას და სთხოვენ მობრძანდნენ შაბათს, 7 ამ თვეს მიცვალებულის სახლში, საიდამაც დილის 10 საათზედ გაასვენებენ ცხედარს ყოვლად-წმიდის ეკკლესიაში წირვის მოსასმენად. (3—1)

კავკასიის სამეურნეო საზოგადოების შენობაში, ბ-ნი სტრუვე 4, 11, 18 და 24 მარტს წაიკითხავს უფასოდ საჯარო ლექციებს ფილოქსერის შესახებ შემდეგის პროგრამით:

### პირველი ლექცია

შესავალი. ფილოქსერის აღმოჩენა. ცნობანი ფილოქსერის ბიოლოგიიდამ, როგორ იმოქმედა ფილოქსერამ ამერიკისა და ევროპის ვაზებზედ.

### მეორე ლექცია

ფილოქსერასთან ბრძოლის საზოგადო ისტორია. კონგრესები, საერთა-შორისო კონფერენციები, წამლობა, უებარი წამალი, ამერიკის ვაზების კულტურა, ბრძოლის გამნელება ყალბის Oidium-ის სოკოს გამოჩენისა და გავრცელების გამო.

### მესამე ლექცია

ღვინის კეთებისა და ვაჭრობის დაცემა საფრანგეთში და მათი აღორძინება ევროპის სხვა სახელმწიფოებში ფილოქსერის გავრცელების მიზეზათა.

### მეოთხე ლექცია

ღვინის კეთება, ღვინის ვაჭრობა და ბრძოლა ფილოქსერასთან რუსეთში. დასკვნა. (2—2)

ტფილისი, 4 მარტი

შევუდგებით რა ღვინის კეთების საქმის აღწერასა, საჭიროდ ვრაცხთ გავიხსენოთ, რომ მეცნიერებამ თუმცა ბევრი ღონისძიება აღმოუჩინა კაცს ყალბის ღვინის კეთებისათვის, მაგრამ იმავ მეცნიერებამ ბევრი სხვა ღონეც მისცა ადამიანს, რომ ბუნებური ღვინო ჯეროვანად კეთდებოდეს. ჩვენ მარტო ჯერ ამ უკანასკნელ ღონეთა ჩამოვთვლით და მასთან ერთად ვეცდებით დავანახოთ მკითხველს რამოდენად ახლოა თუ შორსა ჩვენებური ღვინის მკეთებელი იმაზედ, რასაც ამ მხრით მეცნიერება გვირჩევს.

რაკი ყურძენი დაიკრიფა იმ დარისა და დროს შერჩევითა, რაც წინა წერილში ვსთქვით, კაცი უნდა ეცადოს, შეძლებისამებრ მარცვალი ყურძნისა მოაშოროს კლერტსა და გადაარჩიოს. კლერტს რომ ჩვენში არ აცლიან ყურძენსა, ამაზედ იმას ამბობენ, რომ კლერტით მარცვალი უფრო კარგად და ჩქარაც ისრისება ფეხ-ქვეშ და წურვას ამ გზით ჰშველის და უხდებაო. გარდა ამისა კლერტის შერჩენა იმისათვისაც საჭიროაო, რომ დაწმინდავების დროს, როცა ღვინოს ქუდს გაუტეხენ და დაურევენ, კლერტი ძირს ჩადის და ლექი ღვინისაც ძირს ჩააქვსო. ამის გამო ღვინო მალე დაწმინდდავდება ხოლმეო. ეს არ ვიცით, რამოდენად მართალია და ამას მარტო გამოძიება გამოაჩენს. ხოლო ეს კი ცნობილია მეცნიერთაგან, რომ კლერტზედ დადუღებული ღვინო პირსა ჰბლანდავს, თუმცა ესეც კი მართალია, რომ კლერტზედ დადუღებული ღვინო, ესე იგი, ჩვენებური ღვინო უფრო ადრე და მალე დაწმინდდავდება ხოლმე, ვიდრე უკლერტო. ღვინის საბაზრო საგნად გახდომისათვის ერთი უპირველესი საჭიროება მისი დაწმენდილობაა. რომ ჩვენებური კაცი ჰზრუნავდეს ღვინო მალე აქციოს საბაზრო, სავაჭრო საგნად, ეგ ადვილად მისახვედრია და შესაწყნარებელიცა. ჩვენს ფულით ხელ-მოკლე კაცს მალე უნდა ნაკეთარის ფულად ქცევა, რომ შემდეგის სამუშაოსათვის და ცხოვრებისათვის სახსარი და ღონე იქონიოს. იმას თანხა არა აქვს, რომ ხელი მოინაცვლოს. თუმცა ესე ხელ-და-ხელ შემზადებული ღვინო დიდხანს არა სძლებს, მაგრამ ჩვენებური ბაზარი ამას არ უფრთხის, რადგანაც იქ, საცა ღვინო იშვიათი სანუგბარი არ არის და ღვინის სმა თითქმის საჭიროებად არის გადაქცეული, როგორც ჩვენში, ღვინო მალე ხაღდება და დიდხანს შესანახად აღარ უხდება საქმე სირაჯსა. სულ სხვაა ევროპასა და რუსეთში. ერთგან და მეორეთგანაც ღვინოს მარტო მდიდარი ხალხი სვამს და მდიდარი ხალხი ყველგან ცოტაა. საამათოდ გამძლე ღვინოები უნდა, რომ გზა აიტანოს და მუშტარს ელოდოს და უცადოს. ხოლო იქ, საცა, მაგალითებრ, საფრანგეთში ღვინოს უფრო ბევრი შინაური მსმელი ჰყავს, მაშასადამე, მუშტრად თვითონ თავისივე ხალხი ეგულება, როგორც ჩვენ, იქაც ჰცდილობენ ახალი ღვინო მალე მომზადდეს და გამძლეობისას ამისთანა ღვინოებისათვის ბევრს არაფერს დაგიდევენ. იქ ამისათვის ბევრს გვარს ოსტატობას ჰხმარობენ და ამის გამო მაგალითებრ, პარიჟში საყოველდღეო ხალხისათვის სასმელ ღვინოში იმოდენა მართალი ყურძნის წვენია ხოლმე, რამოდენადაც წამლებით შეკეთებულ კვრინჩხის წვენში. ეს ოსტატობა იქ ძალიან კარგად იციან და, ჩვენდა საბედნიეროდ, ჯერ ჩვენ არ ვიცით. მაინც და მაინც, ჩვენის ფიქრით, გემოსათვის უკლერტოდ ღვინის დაყენება სჯობია, თუმცა ჩვენებურს ხალხს ძალიან უყვარს ის პირის ბლანდველი თვისება ჩვენებურის ღვინისა და უმაგისოდ ღვინოს განგებ ნაკეთებს ეძახის. კაცია და გუნებაო, ნათქვამია და ჩვენებურს კაცს რომ თავისი საკუთარი გუნება ჰქონდეს ამ შემთხვევაში, ვინ რად უნდა სძრახოს. თუ დასძრახავს, იგი დაარღვევს იმ ევროპიულს ანდაზას, რომელიც გვიქადაგებს: De gustibus non est disputandum, ესე იგი, გემოს თაობაზედ კაცს სიტყვა არ შეებრუნებაო.

ყოველ ამით იმისი თქმა არ გვინდა, ვითომც ჩვენში კლერტის გამოცლა არ იცოდნენ. იციან, მაგრამ საკვირველი ის არის, რომ მარტო იმ ადგილებში იციან, საცა ღვინო მაჭრობაშივე იყიდება თითქმის დაუწმენდავი. მაგალითებრ, კახეთის სოფლებში შაქრიანსა, ფაშაანსა, ტურის-ციხესა და ზეგაანში, საცა ღვინო მაჭრობაშივე იყიდება. რა წამსაც დასწურვენ ხოლმე, მაშინვე ჭაჭიდამ გადაარჩევენ კლერტსა და უკლერტო ჭაჭაზედ დაადუღებენ ღვინოსა. ამ ადგილების მაჭარი გათქმულია და ვაჭარიც დაწურვისვე უმალ ეტანება. განსხვავება აქ მარტო ის არის, რომ კლერტს ჩვენში დაწურვის შემდეგ აცლიან და სადუღარად ან სულ არ აძლევენ, ან ძალიან ცოტას. რა თქმა უნდა, რომ ამას სჩადის მარტო შეძლებული კაცი, იმიტომრომ კლერტის გადარჩევას დრო და ხარჯი უნდა. ურიგო არ იქნება, — ჩვენმა მეცნიერებმა თავის ტყუილს აბრუს ცოტა ხანს თავი დაანებონ და გამოიძიონ: ჩვენებური ხალხი, როცა ყურძნის წვენი საღვინედ უნდა, რატომ არ აცლის კლერტსა და როცა კი სამაჭრედ—მაშინ კი რად აცლის? ეს მით უფრო საგულისხმოა, რომ ჩვენებურმა კაცმა კლერტის გაცლა ზოგ შემთხვევაში იცის და ზოგში არა და რაკი ესეა, უმიზეზო არ იქნება, რომ საღვინე წვენს ყურძნისას კლერტზედ ადუღებენ ჩვენში ყველგან გამოუკლებლივ, როცა კი მართლად ჩვენებურად აყენებენ ღვინოსა. ვინ

# ფელეტონი

## მეველე

(ამბავი ხალხის ცხოვრებიდგან)

(შემდეგი*)

### II

ბინდ-ბუნდია. სოფელში აქა-იქიდგან ყაყანი მოისმის: იქ მწყემსი ჰყვირის და დედა-კაცი მიერეკება ბატებს „ბულ-ბულის“ ძახილით; აქ უდროულად მომავალებული ძროხა მწუხარის ხმით მოდის და უბლავის თავის ხბოსა. ეს ყაყანი და ბლავილი ამ ბინდ-ბუნდს სასიამოვნოდ ჰხდის.

ლაგდება ყოველისფერი. თითოოროლადგან, ბაკის კარებთან, სავახშმოდ კიდეც მოიკეცეს: გაჩნდა წინ ხონჩა, ლობიოს ჯამიც მოაქვთ, რომელსაც მოელის მუშის ტლანქი ხელი და ერთის თვალის მოხედვაზედ გადაყლაპვა. აგერ მიწყნარდა, მილაგდა სოფელი. დიდხანს არ გაუვლია, მოისმა სახრის ტლაშუნი და „ჰოტფუ“, რომელიც ბნელით მოფენილს ლამეში, გულ-საკლავ სიჩუმეში, ელდასავით გავარდა. მწყემსი პატარა ბიჭი მოერეკება კალოს ხარსა, კამბეჩის კუდზე ხელი უკიდია და სახრეს უტყაპუნებს გვერდებზე. კამბეჩს-კი ფეხებზედ ჰკიდია მწყემსიც და მისი სახრეცა, თავისათვის იცოხნება, აუჩქარებლივ მოაბოტებს, თითქო აქ არაფერი ამბავიაო და საყვარლად მოიკლაკნის ვარდა კუდსა. მწყემსმა ხარი კალოზე შემორეკა.

— ამდენი ხანი სა ჯანდაბაში ჰგდიხარ, ჰა ე, შე... და ერთი ლაზათიანად შეუკურთხა ბიჭსა მალალმა, შავ-შავმა, მაზარაში გახვეულმა კაცმა.

— ი ჩვენი ბაგის გვერდზე, ქალის პირასა, ისემიანთ... უგ... არა, ფერაძიანთ რადენას გუთნეული ჰყავდა... და აძოვებდა. მერე მე ვუთხარი, რომა აქ რათ აძოვებთ-მეთქი და ილამი მეხრემა, აი ოთარა ბიჭი როა, იმანა სწორეთა აი; ისეთი სახრე გადმომაწნა, რო, ღვთიშობლის მადლმა, სუ გველივით დავიხლანკე.

— ინჰი!... დახე, დახე და!...ჰაი, ჰაი, შენი სოფლობა კი ამოვარდეს, შენი სოფლობაი, კაი სოფელი შენ არა ხარ, ჰოდაი ასრე!! რა ვუთხრა, ვინც აქ პირველად ბარი დაჰკრა, სოფელი იყოსო... არ გაგონილა, არა თქმულა... მამა ოხრები, რა პირკომლ გასაქრობი ხალხია! ღმერთო, იესო ქრიჰტე!.. ღრიალებდა, დიდის ხმით იგინებოდა და ჰსჩიოდა მაზარაში გახვეული კაცი.

ეს იყო ტატე კახნიაშვილი. სოფელში, როგორც ვიცით, ტატეს მეტს სახელს სისხლის გუდას და ავყიას ეძახდნენ. როცა საქმე წახდებოდა სოფელში, ტატე აღრიალდებოდა მშიერი ლომივით; იმდენას იღრიალებდა, იქაქანებდა, რომ მთელს სოფელს ერთად შეჰყრიდა. შავი და დაგრუზული თმა ჰქონდა, თვითონ იყო გამხმარი, როგორც ქვართლში გამოყვანილი აპუხტი. ამ შავის პირი-სახიდამ გამოიცქირებოდნენ სრულიად ამ სახის შეუფერებელი ჭრელი თვალები, რომლის გარშემო სიყვითლის არშია ჰქონდა გაკრული. ერთი ამისი ბანჯგვლიანის წარბების ქვეშ გამოხედვა საშიშარი იყო, შიშის ჟრუანტელს მოჰგვრიდა კაცსა. ბავშვები ისე დააშინა მეველეობაში, რომ ახლოს ვერ გაუვლიდნენ ხოლმე; ასე გაშინჯე, აკვნის ბავშვი რო იტირებდა „მეველე ტატე მოვიდა“-ს ეტყოდნენ და ის იყო,— მაშინვე გაკრინტდებოდა.

ტატეს ცოლმა სამი წელიწადი უშვილო იარა. ამ გარემოებამ ტატე უფრო საშიშარი გაჰხადა სოფლის თვალში: ალბად მაგის თავს დიდი ღვთის რისხვა არის რამეო, თორემ რატომ შვილი არ ეძლევაო, უთუოდ ეშმაკებთან აქვს საქმე და მეგობრობაო; ამ ლამე ძუნგელა მგელსავით სულ ქალა-ქულაში დაწანწალებსო, ამბობდა ცრუ-მორწმუნე ხალხი ტატეზე, და გაკუდიანდება, მა რა მოუვაო, თითქო ქალებში სიაოულისაგან იყო შეკრული ტატეს ცოლის შვილიერება. ერთის სიტყვით, ისე ეშინოდათ ტატესი, როგორც მავნე სულისა და ამიტომაც დაარქვეს, მგონი, „სისხლის გუდა“ და „ავყია“.

მაგრამ კიდევ ვიტყვით, რომ ამ შიშთან ტატე ხალხისაგან სიყვარულმოკლებული არ იყო. ხალხმა იცოდა, კარგადა გრძნობდა, რომ ახირებული ტატე ბოროტი კაცი არ იყო, სულაც არა, თქვენმა მზემა: ტატე მართალი, სწორე, პირ-და-პირი კაცი იყო; ყოველნაირი სიცუდ-კაცე, ფლიდობა, ორ-პირობა, ღალატი გლეხ-კაცობაში სძაგდა იმასა, გულს უწუხებდა, აბრაზებდა და ამის გამო რომ არ აღრიალებულიყო, ვერ მოითმენდა, დიახ, რადგანაც ტატე ყველა საქმეში წაეჩხირებოდა ხოლმე, იმიტომ უწოდეს საძრახისი სახელები. ბევრჯელ ტყუილაუბრალოდაც ჩაუვლიდა ხოლმე ღრიალი, იმიტომ რომ საქმე მოატყუებდა ხოლმე. „ჯერ სწორე უნდა გაიგოს კაცმა საქმე და მერე ისე იჭიჭინოსო“, იტყოდა ხოლმე გულში პირ-შერცხვენილი ტატე.

თუმცა სახელები დაარქვეს, ხალხს თითქო გარეგნობით არ უყვარდა, მაგრამ ტატე სულითა და გულით კი ყველას საყვარელი და თვალის ჩინი იყო; მთელის სოფლის თვალის დამჭერი ის იყო; არ გამოეპარებოდა, თუ ვინ ვის ვენახში გადავიდა, ვის ყანაში ვისი საქონელი დაიარება; ვისი ხარ-კამბეჩი უფრო დაწუწკებულია. ერთს თვალის მოხედვაზე ყველგან გაჩნდებოდა; ამხანაგებს მოსვენება არა ჰქონდათ იმისაგანა; საწყალი ტატე ქვეყნისათვის იყო დაბადებული, მაგრამ თვალი დაუდგა წუთი-სოფლის მუხანათობას, უსწავლელობამ სოფლად დაატრიალა, ვიწრო ადგილი შემოუფარგლა, და ფართოდ ვერ გაშალა თავის გულის-წადილები.

ს. მგალობლიშვილი

(შემდეგი იქნება)

*) იხ. „ივერია“ № 44.

იცის? იქნება გლერტზედ ნადუღარი ღვინო უფრო გამძლეც იყოს. ამას გვანიშნებს ის ამბავი, რომ საღვინე წვენს ყურძნისას უგლერტოდ არ ადუღებენ და სამაჭრეს კი ადუღებენ; სჩანს აქ საქმე ღვინის გამძლეობაზეა მიმდგარი და იქნება გლერტი ამ გამძლეობას რასმე ჰშველოდეს. რა თქმა უნდა, ამისი გადაჭრით თქმა გამოუძიებლივ ძნელია და მეტი არ იქნება, რომ გამოძიებულ იქმნას გლერტის თვისება ამ მხრით.

## ახალი ამბავი

*** ჩვენ გვიამბეს, რომ ამას წინად ტფილისში ერთს რომელსაც მაღაზიაში დარჩენია ვიღასაც 175 ათასი მანათი ნაღდი ფული. მეორე დღეს დანაკარგის პატრონი მოსულა მაღაზიაში, უნახავს ის ქალი, რომელიც თურმე ვაჭრობს ამ მაღაზიაში, და უთხოვნია ფული. ქალს აუღია დანაკარგი 175 ათასი მანათი და სრულად და უკლებლივ ჩაუბარებია. ფულის პატრონს ისე გაჰხარებია, რომ ხუთასი თუმანი უჩუქებია ამ ქალისათვისაო.

*** ჩვენ ვნახეთ ბ-ნ აღნიაშვილის ქართულ მომღერალთა დასისაგან დაბეჭდილი პირველი რვეული. ამ რვეულში დაბეჭდილია მხოლოდ ერთი სასიმღერო ხმა, ნოტებზე გადაღებული ბ-ნ ი. რატილისაგან, სახელდობრ, „ალილო“. რვეული სუფთად არის დაბეჭდილი და ჰღირს ათი შაური.

*** წყლის გასაყვანს მილებს აწყობენ ამ ჟამად ზემო სოლოლაკშიაც. მთაწმინდაში, ლაბორატორიის ქუჩაზე იღებენ თხრილს, საქალებო ინსტიტუტის ახლო.

*** კახეთიდგან გვწერენ: თუ აქაურები ნაკლებად იბარებენ და იკვეთავენ გაზეთებს, ამის მიზეზი, სხვათა შორის, ისიც არის, რომ ფოსტა უწესოდ ურიგებს გაზეთებს თავ-თავის პატრონებსაო. მომეტებული წილი ნომრებისა გვეკარგება ფოსტაშიო.

*** ახალციხიდგან გვწერენ, რომ ჩვენსკენ რამდენიმე სოფელი მოიპოვება ისეთი, რომლის საყდრებში წმინდა სანთელი არ იშოვება გასასყიდიო და რომ მიბრძანდეთ და ორიოდე ჩალა სანთელის დანთება მოინდომოთ, ამაო სურვილი იქნებაო. ამბობენ, ამის მიზეზი ის არის, რომ ის ყუთები, სადაც ინახება სანთლის ფული, დაბეჭდილია ბ.ღალოჩინისაგან და კრებულს უფულობის გამო სანთელი ველარ მოუტავენებია საიდამაც რიგიაო.

*** ვლადიკავკავიდგან გვწერენ: ქართულს გაზეთებში იყო მოხსენებული, რომ ყოველს მღვდელს ეგზავნება ღვთის-მშობლის სახელობაზედ დაარსებულის ძმობისაგან დაბეჭდილი წიგნებიო. მღვდელს შეუძლიან, ბევრ ნაირად გამოიყენოს ამ გვარი წიგნები. ასეთი წიგნები სასარგებლოა მეტადრე იმ მღვდელთათვის, რომელნიც ისეთ ადგილას იმყოფებიან, რომ წლითი-წლობამდე საეკკლესიო წიგნების მეტს ვერას დაინახავენ. ვლადიკავკავის ეპარქიაც საქართველო-იმერეთის სასინოდო კანტორის გამგეობაშია. ოსების სამრევლოებში მომეტებული ნაწილი ქართველი მღვდლები არიან და, როგორც ვიცით, ის ქართველი მღვდლები, ამისთანა წიგნებს არავისგან არ იღებენ. ურიგო არ იქნება, რომ საქართველო-იმერეთის სასინოდო კანტორამ მოახდინოს განკარგულება და, რა წესითაც საქართველოს და იმერეთის სამღვდელოებს ეგზავნებათ, იმ წესით უგზავნონ ვლადიკავკავის ეპარქიის ოსეთის სამღვდელოებასაც ღვთის-მშობლის სახელობაზე დაარსებულის ძმობისაგან დაბეჭდილი წიგნებიო.

*** ხმა ისმის, რომ ამიერ-კავკასიის რკინის გზის საქმეებს ჩაიბარებს და გარდასცემს ხაზინას ინჟინერი ოლეხინიო.

*** ყუბიდამ იწერებიან „მშაკში“: ყუბის მაზრის ხიზის სოფელში ერთი თათარი სცხოვრებს ას ოც-და-ათის წლისაო, სახელად ქერბალაი-ვეზირხანი; ჯან-მრთელია და ღონიერიო. ყუბაშივე სცხოვრებს კიდევ ერთი სხვა თათარი და ასი წლისა მეტი იქნებაო.

*** იმავე გაზეთში იწერებიან კახიდამ (კაკიდამ), 25 თებერვალს: ამ წელს დიდი თოვლი და ყინვა დადგა. მინდორი თოვლით მოფენილია. ვინც საზამთრო თადარიგი არ დაიჭირა, სჩივის, უბალახობით საქონელი გვიწყდებაო.

*** გაზ. „მწყემსი“ ამბობს, რომ ამა 1887 წლიდამ იმერეთის სამღვდელოებას სრულად მიეცემა ჯამაგირებიო. სულ ჯამაგირებისათვის დანიშნულია 111,001 მანათიო.

*** ამას წინად ჩვენ ვაცნობეთ მკითხველებს „მშაკში“ დაბეჭდილი ამბავი კრასილნიკიანცის გარდაცვალებისა ბაქოს ქალაქში. ამ კრასილნიკიანცმაო, მოგვითხრობდა გაზეთი, ამდენი და ამდენი ათასი მანათი უანდერძა ამა-და-ამ სამადლო დაწესებულებათაო. ახლა გაზეთს „ნოვ. ობოზ.“-ს სწერენ ბაქოდამ, რომ არავითარი მაგ ნაირი ამბავი არა მომხდარა-რაო. ნერსეს ნიკიტას ძე კრასილნიკიანცი დღესაც ცოცხალია და კარგადა და ჯანმრთელადა ჰსუფევსო.

*** თეირანში, ამავე გაზეთის სიტყვით, დიდი წვიმები ყოფილა და 470 მეტი სახლი დაუქცევია. დიდ-ძალი ხალხი ცოცხლად დაიმარხა თავის სახლების ნანგრევთა შორისო.

*** სახელმწიფო რჩევას, გზათა სამინისტროს თხოვნით, გადაუდვია კერძო რკინის გზების დასახმარებლად სულ 4,019,980 მან. აქედამ ჩვენს ამიერ-კავკასიის რკინის გზას უნდა მოხმარდეს 3,225,900 მან. ამ ფულით რკინის გზის გამგეობამ უნდა იყიდოს 1,296 საქონლის გადასატანი ვაგონი და 18 ორთქლით მატარებელი.

*** ამ უკანასკნელ ხანებში, როგორც გვატყობინებს „Рус. Вѣд.“-ი, გამოსულა ახალი წიგნი ე. მარკოვისა „კავკასის აღწერილობა“ („Очерки Кавказа“).

*** წელს ზაფხულში რუსეთიდამ რამდენიმე ახალგაზდა სწავლული ყმაწვილი კაცი მოვა კავკასიაში და გრაფ უვაროვის მეუღლის ხელ-მძღვანელობით შეუდგება სხვა-და-სხვა გვარს გამოკვლევასაო. გაზ. „Моск. Вѣд.“-ი ამბობს, რომ ამათ გარდა მოვლენ კავკასიაში მილლერი და ავსიანიკოვიო.

*** გაზ. „Новости“ გვაუწყებს, რომ კავკასიის სახელმწიფო ქონებათა გამგეობის შესაცვლელად პროექტი არის უკვე შედგენილიო. სახელმწიფო ტყეები და სხვა საიჯარო მამულები, რომელიც სულ $8^1/_2$ მილლიონ დესეტინა იქნება, 7 ნაწილად გაიყოფებაო და თითოეულს ნაწილს თავისი გამგებელი დაენიშნებაო. რადგანაც ახლა მამულები გაუმიჯნველია და ამის გამო დიდი დავიდარაბაა ატეხილი, ამიტომ გადაწყვეტილია დააჩქარონ მამულების გამიჯვნაო. მთავრობა ჰფიქრობს დანიშნოს სახელმწიფო ვექილები და იმათ დაავალოს, რომ დაიცვან ხაზინის უფლება, თუ ვინიცობაა დავა ასტყდა რამე მამულების გამიჯვნის დროს კერძო მფლობელთა და ხაზინის შორისაო.

—

შეცდომის გასწორება: გუშინდელს გაზეთში ბ-ნ ინანაშვილის წერილში შეცდომით სწერია: Углекислый потръ, უნდა იყოს Углекислый натръ.

### წერილი რედაქციის მიმართ

(დასასრული*)

ერთი-ორი სიტყვა „ფუქსინიზაცია“-ზედაც.

ასეთი მტრობა რომ გამოუცხადა პატივცემულმა «ივერიამ» „შაპტალიზაციას“ და „გალლიზაციას“, გულზე მოსულმა „ფუქსინიზაციაც“-კი თან მიაწყვლიტა და ერთმანერთში აურიე-დაურია. „შაპტალიზაცია“, „გალლიზაცია“ და «პეტიოტიზაცია» კანონით არ არის აკრძალული და ფუქსინით ნაკეთები ღვინო კი იქამდინ არის თურმე საწყენარი, როგორც გვარწმუნებს გაზეთი, რომ «შარდსა წითლადა ჰღებავსო» (ასირებული თვისება ჰქონია ფუქსინს!). თუ გინდ ასეთი მაწყენარი და ადამიანის მოსაწამლავიც იყოს ფუქსინით დაფერილი ღვინო, მაინც რა ხელი აქვს ამათ ნაკეთებ ღვინოს შაპტალის, გალლის და პეტიოტის ღვინოებთან და ან რატომ არ დაგვისახელა „ივერიამ“ ის დედ-მამა ოხერი, რომელიც აბუჩად გვიგდებს, რომ „ფუქსინიზაცია“ — ეს მაღალ-ხმოვანი სისტემა, მიღებული არა გვქონდა.

აბა ყური დავუგდოთ სამზღვარ-გარეთელ, ევროპიელ ნასწავლ ხალხს, თუ რა აზრისანი არიან და შეხედულობისა ფუქსინით ნაკეთებ ღვინოზე. ერთი აზრი ხომ ის არის, რომელიც „ივერიაშია“ მოყვანილი მეცნიერ პუსტონისა; აი მეორე აზრიც კიდევ ერთის მეცნიერისა ბარონ ბაბოსი (დირექტორისა ენოლოგიის და პომოლოგიის ინსტიტუტისა კლოსტერნებურგში, ვენის ახლო): ერთობ ანილინის ფერებისა, ფუქსინისა, ანილინ-იაფერისა და ანილინ-ლურჯის ხმარება ღვინოში მოსპობილი უნდა იყოს, რადგანაც ამით დაფერილი ღვინოები კაცის აგებულებისათვის მავნებელია და მათის ხმარებისათვის კაცს უნდა ფულის ჯარიმა კანონით გარდახდევინონ და დაატუსაღონ. სამზღვარ-გარეთელი კანონი რასას გვიცხადებს ამაზე? მაგალითად, გერმანიაში აი რა რიგი კანონია ამის თაობაზე:

§ 10 საჭმელ-სასმელის შესახებ კანონის ვალით:

1) ის, ვინც იმ განზრახვით, რომ მოატყუოს, გაჰყიდის მავნებელ განგებ ნაკეთებ სასმელ-საჭმელსა, და

2) ის, და ვინც არა-უტყდინრობით სასმელს ანუ საჭმელს გააფუჭებს, ანუ ისე გააკეთებს, რომ მყიდველს მოატყუებს და დაჰფარავს თავის მავნებელ ნაკეთებს, 6-ის თვით ციხეში ჩაისმება და ფულით ჯარიმა 1,500 მარკას გარდაიხდის, ან ერთი ამ ორიდამ გარდახდებათ.

მაშ თუ ეს ასეა, რაღათ გვემდურებით ჩვენ ან შაპტალს, ან გალლს, პეტიოტს და სხვა ევროპიულ ღვინის კეთების ოსტატებს-მეცნიერებს?

აგრონომი გლად. ინანაშვილი

*) იხ. „ივერია“ № 45.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**ქუთაისი.** ცხრას ამ თთვეს ქუთაისის კლუბის დარბაზში გამართული იყო ბალ-მასკარადი აქაურის სააზნაურო სასწავლებლის ღარიბ მოსწავლეთა სასარგებლოდ. თაოსნობა ამ ბალ-მასკარადის გასამართავად იკისრა დიდად პატივცემულმა კნეინა ელისაბედ გიორგის ასულმა წერეთელისამ. თუმცა მარტო სამის დღის წინად ეცნობა კნ. წერეთლისას ბალის გამართვა, მაგრამ მაინც ისეთის ხალისით და მუყაითობით მოჰკიდა ხელი ამ საქებურსა და კეთილს საქმესა, რომ დანიშნულს საღამოს კლუბის დარბაზი თითქმის სავსე იყო ხალხითა. კნეინას რომ მეტი დრო ჰქონოდა, დარწმუნებული ვართ, იმდენი ხალხი მოვიდოდა კლუბში, რომ ველარც კი დაეტეოდა. მაინც შემოსავალი ამ ბალიდამ, რაც კი ქუთაისს შეეფერება, ძლიერ კარგი იყო.

დაბეჭდილი იყო სულ — 514 ბილეთი; ამაში 309 ბილეთი ორ-ორ მანათიანი კაცებისათვის და 205 ბილეთი მანათიანი ქალებისათვის.

| | | |
|---|---|---|
| ორ მანათიანი ბილეთები . . . . . . | 128 — | 256 |
| ერთ მანათიანი . . . | 92 — | 92 |
| სულ . . | 220 — | 348 |
| შემოსწირეს კიდევ . | „ — | 11 |
| ასე რომ სულ შემოვიდა. | „ — | 359 |
| | მან. | კაპ. |
| ხარჯი იყო . . . . . | 57 — | „ |
| აქედგან მიეცა მუსიკას | 25 — | „ |
| კლუბის გასანათებლად. | 11 — | 90 |
| კლუბის მოსამსახურეთ. | 8 — | 10 |
| აფიშებისა და ბილეთების დასაბეჭდად . . . | 10 — | „ |
| ორს პოლიციელს . . | 2 — | „ |
| სულ. . | 57 — | „ |

დარჩა ნაღდად **სამას ორი მანათი.** (302 მ.)

ხალხმა ღამის ოთხ საათამდე დაჰყო კლუბში და როგორც იქვე გვესმოდა, სიამოვნებით და მხიარულადაც გაატარა დრო.

რამდენადაც გვახსოვს, ქუთაისის სათავად-აზნაურო სასწავლებლის სასარგებლოდ მის დაფუძნებიდგან ამის მეტად არ გამართულა არც ბალი და არც რაიმე წარმოდგენა. ტფილისის სათავად-აზნაურო სასწავლებლის სასარგებლოდ კი ყოველს წელს იმართება ბალი 6-ს იანვარს. თუ იქონიებთ სახეში, რომ ქუთაისის საზნაურო სასწავლებელში მომეტებულად ღარიბ თავად-აზნაურების შვილები იზრდებიან, რომელნიც ხშირად სასწავლებელში სიარულს ვერ ახერხებენ ყარანდაშის, რვეულის, სახელმძღვანელო წიგნების და ტანსაცმელისა და ფეხ-საცმელის უქონლობის გამო, მაშინ დაგვეთანხმებით, რომ კნეინა ელისაბედი ზემოხსენებულის ბალის გამართვისათვის ღირსია დიდის მადლობისა და პატივისა, რასაც სასწავლებლის ინსპექტორი და მისი თანამოსამსახურენი დიდის სიამოვნებით უცხადებენ პატივცემულს კნეინას. იმედია, კნეინა ელისაბედი შემდეგშიაც იკისრებს ამ საქმეს. მხოლოდ დრო კი ბალის გამართვისათვის სხვა უნდა ამოირჩიოს, რადგამ ყველიერში უიმისოდაც ათას გვარი გასართობია და ხალხი ისეთის ხალისით არ დაესწრება ამ ბალს, როგორც სხვა დროს, თუ გინდ ვსთქვათ მაისში. მადლობის ღირსნი არიან აგრეთვე კლუბის უფროსებიც, რომ მუქთად დაგვითმეს დარბაზი და აგრეთვე ყველა ისინი, ვინც ხელი შეუწყო ბალის გამართვას.

ბეს. ნიჟარაძე

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

ბოლგარიაში მომხდარმა არეულობამ ააღელვა და აალაპარაკა რუსეთის ჟურნალ-გაზეთობა...

თითქმის ყველა გაზეთები განრისხებულნი არიან ბოლგარიის რეგენტებზე. აი, მაგალითად, დიპლომატების ოფიციალური გაზეთი „Journal de St.-Petersbourg“-ი რას ამბობს:

ბოლგარიის მთავრობის დღევანდელმა საზარელმა საქციელმა, შემაძრწუნებელმა ავაზაკობამ ცხადად დაგვიმტკიცა, რომ დრო არის ბოლო მოეღოს ბედკრულის ერის ტანჯვას, იმ ერისას, რომელმაც სულ რამდენიმე წელიწადია, რაც სული მოიბრუნა, თავისუფალი ცხოვრება დაიწყო, და დღეს კი ეს ერი ღვთის ანაბრობაზე არის მიგდებული, მტარვალ გამგებლების ხელში ჩავარდნილი, სულ იმ ევროპის წყალობით, რომელიც ასე გულ-ქვავად ექცევა ამ მრავალ-ტანჯულს ერსა.

ჩვენ გულ-გრილად ვერ ვუყურებთ ამ ამბავს, — ბევრი ვითმინეთ, მაგრამ მოთმინებასაც საზღვარი აქვს. დღეს ჩვენი მოთმინება ამ საზღვარს გადვიდა.

მერე რა მოჰყვება ამას, გაზეთი მაინც არას ამბობს, ჯერ ეს ისევ «ჯანყითა და ბურუსით» არის გარემოცული.

***

გაზ. „Московскія Вѣдомости“ ძალიან დიდს მნიშვნელობას აძლევს რუმჩუკში მომხდარ არეულობას. ეს არეულობა დიდის ამბების მომასწავებელიაო.

განა დღევანდელი არეულობა არა ჰგავს ყველაფერში იმ არეულობას, რომელიც 1876 წელში მოხდა და მთელი აღმოსავლეთი არივ-დარივა და შეარყია? რა განსხვავებაა ამ ორ არეულობის შორის? არაფერი: როგორც მაშინდელი, ისე დღევანდელი არეულობა — ერთის და იმავე პოლიტიკის საქმე და განზრახვა იყო. გახსოვთ, ინგლისის სახელმწიფო კაცნი როგორ აქეზებდნენ ოსმალეთს, რომ რაც შეიძლება სასტიკად მოექცით აჯანყებულებსაო? გახსოვთ, ინგლისის პოლიტიკოსებს როგორ უხაროდათ ეს ამბავი?

განა ეხლაც იმასვე არა ვხედავთო? — განაგრძობს გაზეთი. განა დღევანდელი არეულობა ბოლგარიაში ამავე პოლიტიკოსების საქმე არ არისო?

რაც უნდა თავზე ხელ-აღებულები იყვნენ ბოლგარიის რეგენტები, მაინც ამოდენად თავს ვერ გამოიდებდნენ, ვერ გაჰბედავდნენ, ვერ ჩაიდენდნენ იმ სისაძაგლეს, რასაც დღეს სჩადიან, რომ სხვის იმედი არა ჰქონდეთ, რომ სხვები ზურგს არ აძლევდნენ.

ვინ არის ეს უხილავი ძალა, რომელიც ასე გამბედაობით ამოქმედებს ბოლგარიის რეგენტებს.

ეს ფარული მტერი ინგლისი და გერმანიააო, — ამბობს გაზეთი. ბოლგარიის

რეგენტების ხელით ინგლისი და გერმანია სცემს სლავიანებსა. ბოლგარიაში მომხდარი ამბები ჩუმი, იდუმალი, ქვეშ-ქვეში ომია... ყველა მშვიდობიანობაზე ლაპარაკობს და ჩვენ წინააღმდეგ კი ომია, თუმცა ეს ომი თვალით არა სჩანსო.

შეიძლება მართალს ამბობდეს გაზეთი. „Московскія Вѣдомости"-სათვის არა-ხილულიც ხილულია ყოველთვის!..

## პატარა ფელეტონი

თოვლით, წვიმით და ქარიშხლით
მოვალ, ყინვაც თან დამყვება!
ნემის სუსხით დამსჭვალული
საქონელიც ხშირად სწყდება...

ეს მუქარა საზარელმა დედაბერმა ზამთარმა სწორედ ჩვენზედ აღასრულა! როგორც იყო გადავრჩით იანვრის დიდს თოვლს; საყველიეროდ გამოდარდა, თოვლი დადნა, მზემ სითბოთი გადმოგვხედა... ნაბდები უკუვაგდეთ, ჩაბალახებიც მოვიხსენით, დატყვევებული პირუტყვი-საქონელი გავანთავისუფლეთ და მინდვრებს მივაბარეთ... მაგრამ ყველიერშივე გვიმუხთლა ტაროსმა და პარასკევ დილას გაოცებით დავინახეთ მიწა, თეთრის ზეწრით გადაფენილი. მას შემდეგ აგერ მეორე კვირა განმავლობს, რაც სითბო და სიცივე, თოვლი და წვიმა, ყინვა და მზე ებრძვიან ერთმანერთს: ღამით ემატება თოვლს, დღით აკლდება, დღით ემატება, ღამით აკლდება; ადგა თოლ-შავი, ადიდდა და გარდიოია პატარა რუები და ღელეები, გაფუჭდა გზები, წახდა ჰაერი და სითბო-სიცივებით გადარეულმა ჰავამ სულ გარდაოია, შეშალა ამ დროის „ბოქაულები"—«სურდო, ანთება, მჭვალი»... ამ უკანასკნელთ კი თან მოაქვთ, რასაკვირველია, «აღსასრულებელი ფურცელი» ზედ წარწერით „სიკვდილი". ვერას ჰშველიან ექიმები და მეაფთიაქარნი, რომელთაც მუშტრები ერთი სამად მოემატათ.

გზები?! გზებზედ კიდევ უნდა ვსთქვათ რამე. ან-კი როგორ გავჩუმდეთ გზების შესახებ, როცა ის არის ჩვენის ცხოვრების უმთავრესი ძარღვი, მასაზრდოებელი, არ ვიცი კუჭისა უფრო, თუ ტვინისა, თუ ორივესი თანასწორად. რომ საჭირო არ იყოს ქუთაისისა და ხონის ერთმანერთ-შორის მიმოსვლა, მაშინ რაღათ გაემგზავრებოდა ხონიდგან ქუთაისში და ქუთაისიდგან ხონშივე ყოველ-დღეს თითო „დილიჟანი" და ექვსზედ მეტი «ფაეტონი»? მაგრამ ქუთაისის გზის გაკეთებას ვუცადეთ, ვუცადეთ და ვერ ვეღირსეთ გაკეთებას აგერ მეხუთე წელიწადია! საქმე ის არის, რომ ამ დროის განმავლობაში ამ გზას სულ აკეთებენ და აკეთებენ.. დიახ, აკეთებენ, თორემ გაკეთებაზედ და მორჩენაზედ ხომ არა ცდილობენ!? თითონ ჰსაჯეთ: 1885 წლის ქრისტიშობის თთვეში, რომ ქვა დაამტვრიეს, უკვე დიდის ხნით წამხდარს გზებზედ მოსაყრელად, მარტო ახლა, ამ ერთის თთვის წინად მოაყარეს ამ სრულიად გაფუჭებულს გზას, რომელსაც ის დამტვრეული ქვა ისე დაახნდა, როგორც ზღვას ერთი წვეთი ზეთი. ორი წელიწადია რაც ხიდებს ლაგმები (ქვითკირი ნაპირებზედ) გაუკეთეს, მაგრამ თითონ ხიდები-კი, როგორც ეტყობა, მეორედ მოსვლამდის არ გვეღირსება. ამათს შემქმნელთ უბრალო საცალ-ფეხო ბოგირებიც-კი ვერ გაგვიდვია ღელეებზედ, რომ, რა არის, ქვეითმა მაინც შესძლოს სიარული. საკვირველია, რატომ ადგილობრივ მოხელეთ მაინც არ მოსდით ფიქრად, ეს ბოგირები დამართონ, რომ ამით დაიხსნან ასობით გაჭირებულნი, პარასკეობით ხონში ქვეითით მომავალნი.

საკუთრად ხონზედ, ქუჩების შესახებ, უნდა ვსთქვათ, რომ აქ ამ ბოლოს დრომდე ქუჩები არც-კი ყოფილა; იყო მხოლოდ რაღაც ორმოები და თხრილები, გუბეები და ჭაობები ქუჩების ადგილას. მხოლოდ ამ ბოლოს დროს, სულ ორი თთვე იქნება, როგორც იყო მოახერხეს, დიდძალი რიყის-ქვა მოზიდეს, დაყარეს ქუჩებზე, შეასწორეს ორმოები და გუბეები, ქუჩის ნაპირებს კვლები გაავლეს წიაღვრის ჩასადენად და, ამ გვარად, ქუჩებს საფუძველი ჩაუგდეს. საფუძველი-მეთქი მოგახსენებთ იმიტომ, რომ იმ ქუჩებს ჯერ კიდევ ნამდვილს ქუჩებს ვერ დავუძახებთ; ჯერ კიდევ ბევრი აკლიათ, რომ ქუჩების სახელი ეწოდოთ. მაგრამ თუ გნებავთ, რომ ნახოთ მორევი ტალახისა და სრული უზრუნველობა ხონის საზოგადოებისა, ან აქაურ მოხელეთა, უნდა გაბრძანდეთ ხონის მოედანზედ. ამ მოედანს აკრავს ერთის მხრით ხონის „ქალაქი", მეორეს მხრით ხონის „სობორო", მესამეთი—სასულიერო სემინარია და მეოთხეთი—ხონის მოსახლე მკვიდრნი. ეს მოედანია ხონის თვალი, პირველი ადგილი, იგია აქაური „ბულვარიც", „ფერმაც", „მუშტაიდიც" და სახეირნო, საზურთავო, სათამაშო ასპარეზიც. მშრალობის დროს აქ გავლა მართლაც სასიამოვნოა... გაშლილი ადგილი, სალი ჰავა, საუკუნოების მოწამე ჭანდრები და ცაცხვები, — მეტი რაღა გინდა, დასტკბი სულო და გულო! მაგრამ ღმერთმა გაშოროთ აქ გავლა წვიმის დროს, ცუდ დარში, უარესს კაცი ვერც კი წარმოიდგენს რასმე. თქვენ გინდათ მოედანი გადაიაროთ, აღარ ერიდებით არც ტალახს, არც ტალახში გასვრას (მორიდება ტყუილი ცდა იქმნებოდა), ოღონდ კი გადიაროთ ეს ტალახის ზღვა ფეხ-და-ფეხ და არა ცურვით, მაგრამ რას ვამბობ?. ცურვაც რომ ძნელია, ვერ მოახერხებთ ხელის მოსმას, რადგან ტალახი არც ისე თხელია, რომ ხელი თავისუფლად გაანძრიოთ. მაგრამ დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ უცურაოდ მოედანს ვერ გადიელით; სამის ფეხის გადადგმაზედ სამჯერ მაინც უნდა გაცურდეთ ტალახში ხან პირ-ქვე, ხან გულ-აღმა, და ხან გვერდ-გვერდა.

ჩვენთვის, ჩვეულთათვის ეს სრულიად არაფერია, ყველა ამას ჩვენ გულ-არხეინად შევცქერით. იმედის გარდაწყვეტა არაფერში ვარგა. რაო, ვანუგეშებთ ჩვენს თავსა, სულ ეგრე ხომ არ იქნება წვიმები და ავი დარი; თავის დროზედ გაზაფხული და მემრე ზაფხულიც მოვა, ჩვენი მოედანი გაშრება და რაც ავდრობაში ჩაგვამწარა, მაგივრად კარგ დარობას გვასიამოვნებს.

მინდოდა რამე მეთქვა აქაურს განათებაზედაც, მაგრამ ამ ცუდ ტაროსებში გაუნათებლობით არა გაგვჭირებია რა, ღვთისა და თქვენი წყალობა—მთვარე, „ღამის გუშაგი" დაგვცქერის მაღლიდგან და ღრუბლებიდგანაც კი გვაწვდის თავის შუქს... ის არის და ის ჩვენი «მანათობელი ღამისა»! მართალია, ხან-დის-ხან ამასაც „დრო უყვლებს" და თავის პირს გვარიდებს ხოლმე, მაგრამ მოვა დრო, როცა მთოვარე, სხივ-მომფინარე ისევ გაგვიღიმებს და ბნელში მბორგავთ ქუჩებს გაგვინათებსო, —ეს იმედი გვასულ-დგმულებს...

ნარი

დ. ხონი

## უცხოეთი

**ბოლგარია.** სოფიაში 24 ცანკოვის დასის მომხრე დაუტუსაღებიათ, ბურგასში—8. სოფიის მილიციაზედ რაღაცა ეჭვი შეუტანიათ და იარაღი აუყრიათ.

— სარეგენტო მთავრობის მიერ მეამბოხეთა დასჯის შემდეგ გერმანიის წარმომადგენელს ბარონ ტილმანს გარდაუცია ნოტა მთავრობისათვის. ამ ნოტაში რუმინიის წარმომადგენელი ბ-ნი ხიტროვი აცხადებდა თურმე, რომ დატუსაღებულთა აფიცერთა შორის შვიდი კაცი რუსეთის ქვეშევრდომიაო. ბარონს ტილმანს ბ-ნის ხიტროვის თხოვნის თანხმად მოუთხოვნია სარეგენტო მთავრობისაგან, რომ ეს შვიდი კაცი გაანთავისუფლეთ, მაგრამ მთავრობას უარი უთქვამს და გამოუცხადებია, რომ ყველა დატუსაღებულმა აფიცრებმა სასამართლოში თავისი თავი ბოლგარიის ქვეშევრდომად აღიარეს და ამიტომ ვერ გავანთავისუფლებთო.

— გაზ. „Matin"-ს აუწყებენ დეპეშით, რომ ბოლგარიაში მშვიდობიანობისა და წესიერების ჩამოგდება ოსმალეთის მოვალეობაა და არა რუსეთისაო.

— ყველა დიდთა სახელმწიფოთა წარმომადგენელთ სოფიაში სტამბულოვისათვის მიულოცნიათ მეამბოხეებზედ გამარჯვება და აჯანჯყების დამშვიდება.

— დიდთა სახელმწიფოებთ ამ ქამად იმაზედა აქვთ თურმე მოლაპარაკება, რომ შეეუთვალოთ სარეგენტო მთავრობას ბოლგარიისასა და ვურჩიოთ. მეამბოხეთ ძალიან სასტიკად ნუ მოექცევაო. რიზა-ბეის გამოუცხადებია, რომ აღარავინ არ დაისჯებაო. კაპიტანი ბოლმანი ორივე ფეხშია დაჭრილიო.

**გერმანია.** ბერლინში იმ აზრისანი არიან თურმე, რომ თუმცა ძალიან გამწვავდა ამ ბოლოს დროს ბოლგარიის საქმე, მაინც იმედი გვაქვს, რომ ჩქარა დაბოლოვდება ეს საქმეო. თუ სარეგენტო მთავრობა გაიმარჯვებს და მეამბოხეთ დასჯის, რუსეთი გამოესარჩლებაო და თუ მეამბოხენი გაიმარჯვებენ, მაშინაც რუსეთი უნდა ჩაერიოს საქმეში, რომ მშვიდობიანობა და წესიერება ჩამოაგდოსო. თუმცა ყველა იმას ამბობს, რომ რუსეთი ბოლგარიაში ჯარებს არ ჩააყენებს, ავსტრიას მოერიდებაო, მაგრამ ძნელად თუ ავსტრიამ გაჰბედოს და წინააღმდეგობა გაუწიოს რუსეთსაო. თუ რუსეთი ბოლგარიაში ჯარებს ჩააყენებს, ავსტრია მხოლოდ იმას იზამს, რომ ვენგრების დასამშვიდებლად სერბიას ჯარებით დაიჭერსო.

— ბერლინის გაზეთების სიტყვით, აი რა უთქვამს იმპერატორს გერმანიისას ვილჰელმს ერთის გენერალ-ლეიტენანტისათვის: არჩევანებმა და იმან, რომ სამხედრო კანონ-პროექტი შვიდის წლით დაამტკიცეს, ერთი-ორად გამამხნევა და გამაახალგაზრდავაო. ჩემის დაბადების დღისა და აღდგომის მოსალოცავად ამაზედ კარგს საჩუქარს ვერ მომართმევდა გერმანიის ერი თავის ერთგულების დასამტკიცებლადაო.

**არეულობა სილისტრიაში.** აი კიდევ რა ამბებს მოგვითხრობენ სამზღვარ-გარეთის გაზეთები სილისტრიის ამბოხებაზედ:

შაბათს საღამოს პოლკოვნიკს ხრისტოვს გამოუცხადებია ჯარის-კაცთათვის, რომ სარეგენტო მთავრობა გადადგა თავის სამსახურიდგან, ყველა რეგენტები გადიხვეწნენ ბოლგარიიდგან და ურჩევია: ცანკოვი გამოვაცხადოთ რეგენტადაო. 200-მდე ჯარის-კაცს დაუწყვია ყვირილი: „გაუმარჯოს ცანკოვსაო!", ხოლო დანარჩენ 700 ჯარის-კაცს ბოლგარიის დღეგრძელობა უსურვებიათ და ყაზარმებში შესულან. ყაზარმაში ამ 700 ჯარის-კაცს ამოურჩევიათ თავის უფროსად კაპიტანი კრიანდოვი და უთხოვნიათ, სოფიაში დეპეშა გაჰგზავნეთ, გაიგოთ, მართლა გადამდგარა მთავრობა და სამსახურისათვის თავი დაუნებებია, თუ არაო. 10 საათზედ ხრისტოვის ჯარის-კაცთა და იმ ჯარის-კაცთა შორის, რომელთაც მთავრობისათვის არ უღალატნიათ, შეტაკება მომხდარა. პირველი შეტაკება სადეპეშო სადგურს ახლო ყოფილა, მთავრობის მომხრეებს გაუმარჯვნიათ და სადეპეშო სადგური არ დაუნებებიათ მეამბოხეთათვის. კვირა დილით პოლკოვნიკი ხრისტოვი ცხენზე შემჯდარა, ხელში რუსეთის ბაირაღი აუღია და ქუჩა-ქუჩა დაუწყვია სიარული. ორჯელ უსროლიათ ხრისტოვისათვის თოფი, მაგრამ ვერ მოუხვედრებიათ. ხრისტოვი რომ ციხეში დაბრუნებულა, თავი მოუყრია თავისის ჯარისათვის და მეორე შეტაკება მოუხდენია. ამავე დროს რაც ზურგის ჯარის კაცნი ყოფილან, შეიარაღებულან და სარეგენტო მთავრობას მიმხრობიან; შებრძოლებიან ხრისტოვის ლაშქარს და ციხეშივე შეუბრუნებიათ. ორშაბათს შეტაკება არა ყოფილა და ხრისტოვის ჯარს ციხიდგან ფეხი არ გამოუდგამს. სამშაბათს მთელს სილისტრიაში დუქნები დაუკეტიათ, მკვიდრნი სილისტრიისანი ქუჩებში გამოლაგებულან და გულ-გრილად დაუწყვიათ ჯარისათვის ცქერა. ამასობაში კრიანდოვს შემოუკრებია სარეგენტო მთავრობის მომხრე ჯარის-კაცნი და ციხეს დასცემია. ორი ციხის დარაჯი მოუკლავთ. ამავე დღეს სილისტრიაში მისულა შუმლის მეციხვანე ჯარი. ხრისტოვს მოუწადინია სილისტრიის მკვიდრთა მიმხრობა, მაგრამ რომ ვერ მოუხერხებია, ახლო-მახლო სოფლებში წასულა ცხენით. არც სოფლის მცხოვრებელნი გადასდგომიან სარეგენტო მთავრობას ბოლგარიისას და ხრისტოვი ისევ უკან დაბრუნებულა ქალაქში. წინ კაცი მოჰყვებოდა თურმე ხრისტოვს ბაირაღით ხელში. შემოსულა თუ არა ქალაქში, შუმლის მეციხვანე ჯარს სროლა დაუწყვია ხრისტოვისათვის, თავში მოუხვედრებიათ ტყვია და ხრისტოვი უსულოდ გადმოვარდნილა ცხენიდგან; ხრისტოვის ჯარის-კაცნი გაფანტულან აქეთ-იქით და აფიცრები კი დაუპატიმრებიათ. ხრისტოვის გარდა ამ შეტაკებაში 2 აფიცერი და 16 ჯარის-კაცი მოუკლავთ.

## გასართობი

**წრეს-გადასული მეცნიერი.** ამ დღეებში ლონდონის სასამართლომ შემდეგი საკვირველი საქმე უნდა გაარჩიოს თურმე ექიმის გელდიდონგილდისა.

წარსულის წლის მაისის ოცში ამ ექიმის სადგომში ჩვეულებრივად იარებოდნენ სხვა-და-სხვა ავად-მყოფნი და შედიოდნენ და გამოდიოდნენ. სადგომის კარებში მაღალი მსახური იდგა და ყველა ავად-მყოფს ფულს ახდევინებდა ექიმთან შესვლისათვის.

მშვენივრად მორთულსა და მოწყობილს სასტუმრო ოთახში საწერლო სტოლთან იჯდა გამხდარი და დაბალის ტანის კაცი, გელდიდონგილდი; ექიმს გვერდზედ თავისი მდივანი უჯდა და ყველა ექიმისგან გამოწერილს წამალს ავად-მყოფისათვის წიგნში სწერდა. სასტუმრო ოთახის ერთს კარებთან გამოჭიმულიყო უშველებელის ტანისა და სახის მოსამსახურე, რომლის მოვალეობაც ის იყო, რომ მეტად მესუსტებული და მძიმე ავად-მყოფები ხელით შემოეყვანა და გაეყვანა ხოლმე. მეორე კარებიდგან ერთი მეორეზედ შემოდიოდნენ ავად-მყოფები: ზოგს თვალი ჰქონდა აკრული, ზოგს გული სტკიოდა და გულ-გახეთქილი შემოსულიყო, ზოგს მკლავი ჰქონდა შეხვეული, ზოგს რა და ზოგს რა.

აგერ ექიმი მივიდა ერთთან, გასინჯა, წამალი დაუწერა და დაიძახა: „მეორე შემოვიდესო". ახლა სხვა წარსდგებოდა და ხელმე ექიმის წინ და ახლა სხვა. ასე მიდიოდა სამ-ოთხი წელიწადი ყოველ დღე დილის ცხრა საათიდგან თორმეტამდინ მოდიოდნენ ავად-მყოფები ამ ექიმთან და ისევ მიდიოდნენ. ოცს მაისს დილის ცხრა საათზე ექიმთან შემოიყვანეს ერთი ცოცხალ-მკვდარი ავად-მყოფი. ავად-მყოფი ისე იყო გამხდარი, რომ ძვლების ჩონჩხსა ჰგავდა, არეული და წასული თვალები ჰქონდა და ძლივსა სუნთქავდა.

ექიმი მივიდა ავად-მყოფთან, გული გაუსინჯა ხელით და წამოიძახა:

— თქვენი მორჩენა შეუძლებელია! ფილტვი სულ ერთიანად დაგლპობიათ და რვა დღე არ გაივლის, რომ პატრონს ჩაჰბარდებით!.. შემოიყვანეთ სხვა ავად-მყოფი...

როცა მსახური მივიდა ამ უბედური ავად-მყოფის გარედ გასაყვანად, ექიმს რაღაცა მოაგონდა და დაცინვით ჰკითხა ავად-მყოფს:

— თქვენ შეძლებული კაცი ხართ?

— მილიონერი, მილიონერი ვარ, ექიმო! წამოიძახა მწუხარედ ავად-მყოფმა.

— თუ მართლა აგრეთა შეძლებული ხართ, აქედგან პირ-და-პირ რკინის გზის სადგურზე წადით. მატარებელი 11 საათზე გადის დუვრში. დუვრიდგან კალეში წადით და იქიდგან კიდევ ნიცცაში. ნიცცაში რომ მიხვალთ, დღე-და-ღამე წიწმატი ჭამეთ, არც პური, არც ღვინო, არაფერი, არაფერს პირი არ ახლოთ,—წიწმატი, წიწმატი და მხოლოდ წიწმატი ჭამეთ! წიწმატის გარდა ორ დღეში ერთხელ ერთი კოგზი წვიმის წყალი დალიეთ იოდით, და წიწმატი, წიწმატი, წიწმატი, როგორიც უნდა იყოს, გამხმარი, დნაყული, სულ ერთია,—მხოლოდ ეს არის ერთად-ერთი წამალი თქვენის ავად-მყოფობისა!.. ყურები გამომიჭედეს მე მაგ წიწმატით, თუმცა, ჩემის აზრით, სისულელეა და სულელი უნდა იყოს ის კაცი, რომელსაც წიწმატი რაღაცა უკვდავების წამალი ჰგონია; გიმეორებთ, მე არა მჯერა, რომ წიწმატს თქვენი მორჩენა შეეძლოს, მაგრამ ცდა ბედის მონასხვრეტო, მაინც იმედი არ არის თქვენის მორჩენისა და რა

განადლებათ, სცადეთ... შემოიყვანეთ მეორე ავად-მყოფი!

— მდიდარი და შეძლებული ჭლექით ავად-მყოფი გაიყვანეს და ახლა სხვები შემოვიდნენ, თვალ-აკრულნი, მკლავ-შეხვეულნი, კოჭლნი, მკეთროვანნი.

სწორედ ექვსის თვის შემდეგ, 8 ნოემბერს, დილის ცხრა საათზედ, ექიმთან შემოვარდა ერთი ჯან-საღი, ზრგე და მხარ-ბეჭიანი ვაჟკაცი. ლოყები გაღადღადებული ჰქონდა და სასიამოვნო, ზარივით ხმა. გაარღვია ამ უცნობმა ავადმყოფების გროვა და დაუმახებლივ შევარდა სასტუმრო ოთახში; სტაცა ხელი საზრალო ექიმს გელდიდონგილდს, ჭკერში აიყვანა და გულზე მიიკრა; რამდენჯერმე დაჰკოცნა და ქანქანით წამოიძახა:

— რი მილლიონი გინდათ? გინდათ სამი? თქვენი მადლობელი უნდა ვიყო, რომ ვსუნთქავ, მზეს შევყურებ, მიყვარს, გსიამოვნებ, ქვეყანაზედ დავდივარ—ყველაფერი, ყველაფერი თქვენის წყალობით მაქვს! მომთხოვეთ, სთქვით, რა გინდათ, რა გსურთ, რომ აგისრულოთ!

— ვინ შემოუშვა ეს გიჟი აქა?.. გაიყვანეთ, გაიყვანეთ ჩქარა!.. ძლივს მოვიდა გონებაზედ ექიმი.

— არა, არა, მე გიჟი არა ვარ! ღრიალებდა უცნობი და თან ღონივრ მკლავებს იქნევდა:—საკვირველი არ არის რომ თქვენ მე ვერ მიცნობთ, ჩემო მხსნელო და მფარველო ანგელოზო! მოიგონეთ მომაკვდავი, ჭლექით ავად-მყოფი, მელის ჩონჩხი! ნიცცა!.. წიწმატი, წიწმატი და წიწმატი! აგერ ექვსი თვეა თავს ვირჩენდი და თქვენის წყალობით აი, და უცნობმა ორჯელ-სამჯერ მაგრად და ღონივრად დაირტყა გულზედ ხელი:—აბა ყური დაუგდეთ!

— ეე! წამოხტა ფეხზედ ექიმი: — თქვენ ის ცოცხალ-მკვდარი ავად-მყოფი ხართ, რომელიც...

— ჰო, ჰო, ისა ვარ, ისა! ღრიალებდა უცნობი: გუშინ ჩამოველი, იმიტომრომ ოქროთი და ვერცხლით უნდა აგავსო, მეგლი აგიგო, მატური აგიშენო!.. ღმერთო, ღმერთო, რა კარგი ყოფილა სიცოცხლე, რა ტკბილია და სასიამოვნო ქვეყნად ცხოვრება!

ექიმმა გელდიდონგილდმა რაღაცა წასჩურჩულა თავის მდივანს და მდივანი და მოსამსახურე გარედ გავიდნენ. რამდენსამე ხანს ჩუმად შეჰყურებდა ექიმი თავის მორჩენილ ავად-მყოფს, მერე უცრად წაიბუტბუტა:

— მოითმინეთ, საფეთქლზე ბუზი გაზისთ..

ამოიღო საჩქაროდ ჯიბიდგან დამბაჩა და სამჯერ ზედი-ზედ დაახალა უცნობს; უცნობი უსულოდ გადავარდა გულ-აღმა. მაშინვე მივარდა და სისხლში მოსვრილს უცნობს, ტანისამოსი გააძრო და მკერდი გაუჭრა...

რამდენისამე წუთის შემდეგ ოთახში შემოვიდა პოლიციელი, რომ ექიმი დაეტუსაღებინა. ექიმს ამ დროს ხელში ორი მრთელი და დაუშავებელი ფილტვი ეჭირა და მიკროსკოპით სინჯავდა; მას უნდოდა გაეგო, რა ძალა ჰქონია ისეთი წიწმატს, რომ ეს კაცი მოურჩენიაო.

— ბატონო პოლიციელო, წამოდგა ექიმი: მე საჭიროდ დავინახე ამ კაცის მოკვლა, რომ ამის ფილტვები გამესინჯა და გამეგო, ისეთი რა იდუმალი და გაუგებარი ძალაა, რომელიც ასეთს სასწაულს ახდენს და მკვდარს კაცს სიცოცხლეს აძლევს და ფეხზედ აყენებს. მე მოვკალ ეს კაცი, რომ ამის სიკვდილით მვირფასი განძი შემეძინა მეცნიერებისათვის. აი რა იყო მიზეზი, რომ ეს საქმე ჩავიდინე სინიდისისა და ადამიანის მოვალეობის წინააღმდეგ.

ექიმი გელდიდონგილდი არ დაიჭირეს და თავისუფლება არ მოუსპეს იმ მიზეზით, რომ ექიმის თავისუფლება უფრო სარგებლობას მოუტანს ქვეყანას, ვიდრე თავისუფლების მოსპობაო. ამ საქმის სასამართლოს მიერ გარჩევას დიდის მოუთმენლობით მოელის თურმე ლონდონის საზოგადოება.

# დეპეშა

3 მარტი

ლონდონი. სამხედრო მინისტრმა აუწყა საზოგადოებათა პალატას: ამ ახლო ხანში ყოველივე მზადდება, რომ ხომალდებში ჩასხდეს ქვეითა ჯარების მთელი კორპუსი, თუ საჭიროება მოითხოვსო. რამდენისამე დღის შემდეგ გადავწყვეტავთ, რა გვარი მაღაზიის თოფი ამოვარჩიოთ ჯარისათვისაო. იმედია, რომ ამ მხრივ ყველა სხვა დიდს სახელმწიფოთ გავჯობებთო.

პარიჟი. უცხო საქმეთა მინისტრმა წარუდგინა მინისტრთა საბჭოს ცირკულიარი დიდთა სახელმწიფოებთან გასაგზავნად. ამ ცირკულიარით მინისტრი მოიწვევს სხვა-და სხვა სახელმწიფოებს, მონაწილეობა მიიღეთ პარიჟის გამოფენაში 1889 წელსო.

4 მარტი

პეტერბურგი. გუშინ ხელმწიფე იმპერატორი და ხელმწიფე იმპერატრიცა წაბძანდნენ გატჩინოდამ დიდს მთავარს ვლადიმირ ალექსანდრეს-ძესთან წვეულებაზე და იმავ საღამოსვე დაბრუნდნენ გატჩინოში.

მთავრობა აცხადებს: 1 ნევის პროსპექტზე დილის 11 საათზე დაიჭირეს სამი სტუდენტი პეტერბურგის უნივერსიტეტისა. გაჩხრიკეს და ასაფეთქი იარაღები გამოაჩნდათ. დაჭერილებმა გამოაცხადეს, რომ ჩვენ წევრნი ვართ ბოროტ-განმზრახველთა საზოგადოებისაო. იარაღები გასინჯეს მცოდნე კაცებმა და აღმოჩნდა, რომ დინამიტითა და ტყვიით იყვნენ გატენილნი და სტრიხნინით მოწამლულნი.

გუშინ ვლადიმირის ღვთის-მშობლის ეკკლესიაში პეტერბურგში მცხოვრებელ ბოლგარების თაოსნობით გადახდილ იქმნა პანაშვიდი ბოლგარიაში აჯანყების მსხვერპლთა მოსახსენებლად. პანაშვიდს დაესწრნენ: თავსმჯდომარე და წევრნი სლავიანთა სამადლო საზოგადოებისანი, მრავალნი აფიცერნი ამხანაგნი დახოცილ ბოლგართა, რომელთაც ან მათთან ერთად ემსახურნათ, ან ესწავლათ რუსეთის აკადემიებში. ხალხიც მრავალი იყო პანაშვიდზედ.

პეტერბურგის ბირჟა, 3-ს მარტს

ფ ა ს ე ბ ი:

| | მყიდვე-ლისა | გამყიდ-ველისა | გაყიდუ-ლისა |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | — › | — › | 9 22 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — › | — › | $178^1/_4$ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . . . | — › | — › | $245^1/_4$ |
| — მეორისა . . . . . | — › | — › | 231 |
| გირავნობის ფურცელნი: | | | |
| ტფილისის ბანკისა. . . | — › | — › | — › |
| ქუთაისის ბანკისა . . . | — › | — › | — › |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა. | — › | — › | — › |

## საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩუჩზ (1887) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ **7395**.

ძველი ინდიქტიონი მე-14,

ამისი ქორონიკონი—უოთ=479 წლისა. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4,

ამისი ქორონიკონი—მგ=43 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1887 წლის ზედ-ნადები—14.

აღდგომა—5 აპრილს, ამაღლება 14 მაისს, სულის წმინდის მოსვლა 24 25, პეტრე-პავლეს მარხვა 1 ივნისს. ეს მარხვა 1887 წელს 4 კვირით არის.

მარტი 31 დღით არის

5 დღე ხუთშაბათი. წმ. კონონ მოწ. და ონისიმესი; ქალწ.-მოწ. იროიდასი. კათოლ. ფრედერიკისა და თეოფილესი ჭეშმარიტი შუა-დღე 12—8. ტფილისში მზე ამოდის 6—8, ჩადის 6—10.

6 დღე პარასკევი. წმ. 42 მოწამეთა. ღედოფალმა ელენემ პპოვა ჯვარი პატიოსანი და ლურსმები იერუსალიმში მე-IV საუკ. კათოლ. ვიქტორიასი. სომეხ. მე-19 დღე დიდ-მარხვიდგან. მუსულ. მე-24 რიცხვი თვისა ჯემად-ულ-ახირისა, 1304 წ. ჰიჯრისა. გაიმართა პირველი სამეურნეო გამოფენა ტფილისში, 1850 წ. ჭეშმარიტი შ-დღე 12—8. ტფილისში მზე ამოდის 6—7. ჩადის 6—11. მთვარე 24 დღისაა.

7 დღე შაბათი. წმ. შვიდთა მღვდელმოწამეთა ვასილისა და სხვ. კათოლ. თომასი და ფელიციტასი, სომეხ. წმ. იოანე იერუსალიმელისა, მამა-მთავართა: იოანე ოძნელისა, იოანე ვორატნელისა, გრიგოლ ტათეველისა და სხ. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—7. ტფილისში მზე ამოდის 6—5, ჩადის 6—12.

8 დღე კვირა. წმ. თეოფილაქტე და თეოდორიტესი. კათოლ. იოანნისა. ფილიმონისა და ზეატისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—8. ტფილისში მზე ამოდის 6—3, ჩადის 6—13.

## გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1 მარტიდამ აპრილამდე.

| | |
|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. | 5 კაპ. |
| წითელი პური 1-ის ხარისხისა . | 3 › |
| › 2 › | $2^1/_2$ › |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | 5 › |
| › › 2— | $3^1/_2$ › |
| › › 3 › | 3 › |
| ჯვარის მამის პურის ლავაში | |
| 1-ლის ხარისხისა . . | 5 › |
| მე-2 ხარისხისა . . | 4 › |
| მე-3 — . . . | $3^1/_2$ › |
| ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 8 › |
| › 2 › | 7 › |
| სუკი. . . . | 14 › |
| ცხვრის ხორცი . . . | 10 › |
| ღორის ხორცი 1-ის ხარისხისა. | › › |
| › 2 › | › › |

## მიმოსვლა რკინის გზისა

ბათუმსა და ტფილისს შუა

| სტანციები | მოდის საათ. | მოდის წამი. | გადის საათ. | გადის წამი. | სტანციები | მოდის საათ. | მოდის წამი. | გადის საათ. | გადის წამი. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დ ი ლ ი თ | | | | | დ ი ლ ი თ | | | |
| ტფილისი . . | — | — | 8 | 49 | ბათუმი . . | — | — | 8 | 4 |
| ავჭალა. . . | 9 | 9 | 9 | 11 | ქობულეთი. | 8 | 54 | 8 | 57 |
| მცხეთა. . . | 9 | 32 | 9 | 40 | ნატანები . . | 9 | 25 | 9 | 29 |
| ქსანი . . . | 10 | 3 | 10 | 05 | სუფსა . . . | 9 | 55 | 10 | 2 |
| კასპი. . . . | 10 | 33 | 10 | 36 | ლანჩხუთი . | 10 | 35 | 10 | 39 |
| გრაკალი . . | 10 | 59 | 11 | 1 | ნიგოითი . . | 10 | 51 | 10 | 53 |
| გორი . . . | 11 | 25 | 11 | 40 | საჯავახო. . | 11 | 14 | 11 | 16 |
| ქარელი . . | 12 | 8 | 12 | 11 | ხამტრედია. | 11 | 33 | 11 | 51 |
| გომი . . . | 12 | 37 | 12 | 41 | კოპიტნარი. | 12 | 13 | 12 | 16 |
| ხაშური . . | 1 | 2 | 1 | 17 | რიონი . . . | 12 | 47 | 1 | 2 |
| სურამი . . | 1 | 29 | 1 | 32 | აჯამეთი . . | 1 | 15 | 1 | 18 |
| ფონი . . . | 2 | — | 2 | 3 | ყვირილა. . | 1 | 58 | 2 | 10 |
| ბეჟათუბანი. | 2 | 56 | 3 | 16 | ძირულა . . | 2 | 48 | 2 | 50 |
| მარელისი . | 3 | 45 | 3 | 48 | ბელაგორი. | 3 | 17 | 3 | 20 |
| ბელაგორი . | 4 | 15 | 4 | 18 | მარელისი . | 3 | 47 | 3 | 49 |
| ძირულა . . | 4 | 45 | 4 | 48 | ბეჟათუბანი | 4 | 18 | 4 | 37 |
| ყვირილა. . | 5 | 26 | 5 | 40 | ფონი . . . | 5 | 30 | 5 | 34 |
| აჯამეთი . . | 6 | 14 | 6 | 16 | | ს ა ღ ა მ ო თ ი | | | |
| | ს ა ღ ა მ ო თ ი | | | | სურამი. . . | 6 | 2 | 6 | 5 |
| რიონი. . . | 6 | 29 | 6 | 44 | ხაშური . . | 6 | 17 | 6 | 32 |
| კოპიტნარი. | 7 | 08 | 7 | 10 | გომი . . . | 6 | 50 | 6 | 54 |
| ხამტრედია. | 7 | 29 | 7 | 49 | ქარელი . . | 7 | 16 | 7 | 19 |
| საჯავახო. . | 8 | 5 | 8 | 7 | გორი . . . | 7 | 44 | 7 | 54 |
| ნიგოითი. . | 8 | 27 | 8 | 30 | გრაკალი . . | 8 | 15 | 8 | 17 |
| ლანჩხუთი . | 8 | 42 | 8 | 46 | კასპი. . . . | 8 | 40 | 8 | 43 |
| სუფსა . . . | 9 | 19 | 9 | 27 | ქსანი . . . | 9 | 7 | 9 | 9 |
| ნატანები . . | 9 | 52 | 9 | 55 | მცხეთა. . . | 9 | 28 | 9 | 34 |
| ქობულეთი. | 10 | 22 | 10 | 25 | ავჭალა. . . | 9 | 52 | 9 | 54 |
| ბათუმი . . | 11 | 13 | — | — | ტფილისი . | 10 | 15 | 10 | 46 |

ქუთაისიდამ გადის რიონს შუადღის 12 საათსა და 7 წამზედ და საღამოზედ 5 საათსა და 50 წამზედ.

რიონიდამ ქუთაისს მიდის ნაშუადღევს 1 საათსა და 12 წამზედ და საღამოს 6 საათსა და 55 წამზედ.

ტფილისსა და სურამ შუა

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დ ღ ი ს ი თ | | | | | ღ ა მ ი თ | | | |
| ტფილისი . | — | — | 3 | 21 | სურამი. . . | — | — | 2 | 59 |
| ავჭალა . . | 3 | 46 | 3 | 49 | ხაშური . . | 3 | 11 | 3 | 27 |
| მცხეთა. . . | 4 | 19 | 4 | 25 | გომი . . . | 3 | 50 | 3 | 55 |
| ქსანი . . . | 4 | 49 | 4 | 52 | ქარელი . . | 4 | 24 | 4 | 31 |
| კასპი . . . | 5 | 24 | 5 | 29 | გორი . . . | 5 | 4 | 5 | 19 |
| გრაკალი . . | 6 | — | 6 | 3 | გრაკალი . . | 5 | 46 | 5 | 51 |
| | ს ა ღ ა მ ო თ ი | | | | | დ ი ლ ი თ | | | |
| გორი . . . | 6 | 31 | 6 | 45 | კასპი . . . | 6 | 18 | 6 | 24 |
| ქარელი . . | 7 | 18 | 7 | 24 | ქსანი. . . . | 6 | 55 | 6 | 59 |
| გომი . . . | 7 | 53 | 8 | 1 | მცხეთა . . | 7 | 24 | 7 | 32 |
| ხაშური . . | 8 | 24 | 8 | 38 | ავჭალა . . | 7 | 55 | 7 | 58 |
| სურამი . . | 8 | 50 | — | — | ტფილისი . | 8 | 24 | — | — |

## კერძო განცხადებანი


გამგეობა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოებისა“ აცხადებს, რომ იმ პირთ, რომელთაც აქამდის ითხოვეს მასწავლებლობის ადგილი ს. ხელთუბნის სკოლაში და ამის შემდეგაც ითხოვენ, უნდა 9 მარტამდე წარმოუდგინონ გამგეობას ოქმები მის შესახებ, თუ ვის რა სწავლა მიუღია; ხოლო 9 მარტს ამა წლისას გამოცხადდნენ ტფილისის სააზნაურო სკოლაში სამაგალითო გაკვეთილების მისაცემად. (3—2)

ტფილისის ქალაქის გამსესხებელი კასსა საყოველთაოდ აცხადებს, რომ ეს კასსა ამ 1887 წლის 3 მარტიდგან დაიწყებს მოქმედებასა.

1) სესხი კასსის-მიერ გაიცემა არა ნაკლებ ორის მანათისა და არა უმეტესს ოცის თუმნისა.

2) კასსა გასესხებულს ფულზედ 12% აიღებს წლიურს სარგებელს და გარდა ამისა დაგირავებულ ნივთების შესანახი კიდევ ცალკე გამოერთმევათ ფულის მსესხებელთ: 1—3 თთვემდე $^1/_4$%, 3—6 თთვემდე 1%, 6— თთვემდე 3% და 9—12 თთვემდე 4%.

3) ფულის სარგებელი და აგრეთვე ნივთების შესანახი ფულის მსესხებელთ გამოერთმევათ ბოლოს, ე. ი. მაშინ, როცა თავის ნივთს დაიხსნიან, ან სხვაგან გადააგირავებენ და ან საჯაროდ გასყიდვის დროს.

4) კასსა ფულს გაასესხებს ოქროსა, ვერცხლსა, ძვირფასს თვლებზედ და სხ. დასაგირავებელი ნივთები რიგიანად უნდათ შეახვიონ პატრონებმა და ყუთში ჩაალაგონ და ისე წარმოადგინონ დასაგირავებლად.

კასსა ღიაა ყოველ-დღე გარდა კვირაუქმე დღეებისა, დილის 9 საათ. ნაშუადღევის 2 საათამდე; გირაოს მიღება შეიძლება დილის 10 საათიდგან ნაშუადღევის 1 საათამდე.

ქალაქის გამსესხებელი კასსა იმყოფება ქალაქის სახლში, ერევნის მეიდანზე. შესავალი კასსას საერთო აქვს საქალაქო გამგეობასთან. (3—3)

იყიდება მოსე ჯანაშვილის-მიერ შედგენილი წიგნები:

საქართველოს მოკლე ისტორია

ფასი 60 კაპ.

(ეს წიგნი უმაღლესის მთავრობისაგან მოწონებულია).

საქართველოს საეკლესიო ისტორია

ფასი 45 კაპ.

მერცხალი

ფასი 7 კაპეიკი.

შემდეგს ადგილებში: ტფილისში: გრიქუროვისა და ჩარკვიანის წიგნის მაღაზიებში და აგრეთვე შემადგენელისას. ქუთაისში: გჭილაძის მაღაზიაში. თელავში: ვ. როსტომაშვილთან; სიღნაღში: ვ. ქიტიაშვილთან; სურამში: ა. ქარსიძესთან; ფოთში: ხუმარაძესთან. ყვირილაში ბლად. დამბაშიძესთან.

ვინც 20 ცალს «ა» გამოცემისას დაიბარებს პირ-და-პირ გამომცემლისაგან (Тифлисъ Михайл. ул, Г. Д. Картвелишвили). იმას წიგნი დაეთმ[illegible] შაურად.

ახალი წიგნი

(რუსულს ენაზედ)

„კერძო და საადგილ-მამულო უფლებანი ძველს საქართველოში“. I გამოცემა. ფასი 35 კაპ. იყიდება ტფილისის წიგნის მაღაზიებში. (50—34)


Дов. ценз. Тиф. 4 марта, 1887 г. Типографія „Кавказское Обозрѣніе“ (Н. И. Френкель) Караванъ-Сарай Земельнаго Банка. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე